სამშობლო, დიდის ქუჩში, არ გაიცვლების სხვაზედა...

# ოდიში

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

1990
შაბათი
22
სექტემბერი
№114 (10351)
ფასი 3 კაპ.

საქ. კპ ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების ორგანო

## საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქებში შემავალი უბნები

**თავისუფლების საარჩევნო უბანი № 3**

ცენტრი: ექსპ. ჩაის საწნეხი ფაბრიკა

საზღვრები: ლენინის ქუჩა დადიანის ქუჩიდან ბოლომდე, გ. ჭყონდიდელის ქუჩა დადიანის ქუჩიდან ბოლომდე, თავისუფლების ქუჩა ლერმონტოვის ქუჩიდან ბოლომდე, კომკავშირის ქუჩა ლერმონტოვის ქუჩიდან ბოლომდე, გამარჯვების ქუჩა დადიანის ქუჩიდან ბოლომდე, ფრუნზეს ქუჩა, კეცხოველის, კეცხოველის 1 ლი- შესახვევი, გრიშაშვილის, თათარიშვილის, ლომთათიძის, ლომთათიძის 1-ლი შესახვევი, ლენინის მე-2 შესახვევი, ლენინის მე-3 შესახვევი, ლენინის მე-4 შესახვევი, დადიანის ქუჩა, 8 მარტის, პარიზის კომუნის ქუჩა, ლერმონტოვის ქუჩა, ლერმონტოვის შესახვევი, ქუბის ქუჩა, ოსტროვსკის ქუჩა, გ. ცაბაძის, ჭ. ბენდელიანის, ჭ. ბენდელიანის 1-ლი შესახვევი, თავისუფლების მე-2 შესახვევი თავისუფლების მე-3 შესახვევი, თავისუფლების ქუჩა.

**რუსთაველის საარჩევნო უბანი № 4**

ცენტრი: საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს შენობა გეგეჭკორის ქუჩაზე.

საზღვრები: ოქტომბრის ქუჩა რუსთაველის ქუჩიდან ჯავახიშვილის ქუჩამდე, ორჯონიკიძის ქუჩა 1-დან რუსთაველის ქუჩამდე, რუსთაველის ქუჩა კომკავშირის ქუჩიდან მდ. ჩხოუშამდე, გეგეჭკორის, გეგეჭკორის 1-ლი შესახვევის, გეგეჭკორის მე-2 შესახვევის, გეგეჭკორის ჩიხი, შაუმიანის, ჯორჯიაშვილის, დიმიტროვის ქუჩები.

**ც. დადიანის საარჩევნო უბანი № 5**

ცენტრი: რაიონის კულტურის სახლის შენობა რუსთაველის ქუჩაზე

საზღვრები: რუსთაველის ქუჩა 1-დან კომკავშირის ქუჩამდე, ყაზბეგის ქუჩა რუსთაველის ქუჩიდან ბოლომდე, დ. ალმაშენებლის ქუჩა № 1-დან მ. კოსტავას ქუჩამდე, თეატრის, ც. დადიანის, ნინოშვილის, ნინოშვილის 1-ლი შესახვევის, ნინოშვილის მე-2 შესახვევის, ნინოშვილის მე-3 შესახვევის, წმინდა ნინოს, ეგრისის, ეგრისის 1-ლი შესახვევი, ეგრისის მე-2 ჩიხი, ლუქსემბურგის, მეუნარგიას, მეუნარგიას მე-2 შესახვევი, გორკის, ვოროვსკის, ანთელავას, წულუკიძის, გ. როგავას, ბუდაპეშტის, გაგარინის, მარცხენა სანაპიროს, ქუჩიშვილის, შესახვევი, კლდიაშვილის ქ. კლდიაშვილის შესახვევი.

**წერეთლის საარჩევნო უბანი № 6**

ცენტრი: ტაქსომოტორების ისს, სოხუმის 32.

საზღვრები: სოხუმის ქუჩა 1-დან მდ. ჩხოუშამდე, ოდიშის, ლეონიძის, ცაიშვილის, გ. ზაქარაიას, გ. ზაქარაიას ჩიხი, სამეგრელოს, სამეგრელოს შესახვევი, ბელინსკის, ფალიაშვილის, მელიქიშვილის საროჯიშვილის, გაგარინის 1-ლი შესახვევი, ჩიტაძის, ჩიტაძის 1-ლი შესახვევი, ჩიტაძის მე-2 შესახვევი, ჩიტაძის მე-3 შესახვევი, ჩიტაძის ჩიხი, კიკვიძის, საჯაიძის, ბათუმის, ბათუმის 1-ლი შესახვევი, ჩოდრიშვილის, წერეთლის, წერეთლის 1-ლი შესახვევი, წერეთლის მე-2 შესახვევი, წერეთლის მე-3 შესახვევი, წერეთლის მე-4 შესახვევი, წერეთლის მე-5 შესახვევი, კავკასიონის, დეკაბრისტების, ბაგრატიონის, ბუქარესტის, წითელარმიელთა, კრასნოდარის, შევჩენკოს, ჟუკოვის, სვანეთის, შერიზიას, წმ. გიორგის, წმ. გიორგის შესახვევი.

**სოხუმის საარჩევნო უბანი № 7**

ცენტრი: № 3 სამშენებლო სამმართველოს შენობა

საზღვრები: სოხუმის ქუჩა მდ. ჩხოუშიდან ბოლომდე, პაპანინის ქუჩა, მ. კოსტავას ქუჩიდან სოხუმის ქუჩამდე, ორჯონიკიძის ქუჩა მდ. ჩხოუშიდან ბოლომდე, ბორჯომის ქუჩა № 1-დან პაპანინის ქუჩამდე, ტურგენევის, სამგორის, მოსკოვის, სოხუმის მე-2 შესახვევი, სოხუმის მე-3 შესახვევი, სოხუმის მე-4 შესახვევი, სოხუმის მე-5 შესახვევი, სოხუმის ქუჩის ჩიხი, ვეკუას ქუჩა, ვეკუას შესახვევი, № 2 ჩაის ფაბრიკის დასახლება; მაჩაბელის ქუჩა, რუსთაველის ქუჩიდან ბოლომდე, ძერჟინსკის ქუჩა 1-დან პაპანინის ქუჩამდე, ჩკალოვის ქ. № 1-და პაპანინის ქუჩამდე, მარჯვენა სანაპიროს ქუჩა.

**ფაიფურის ქარხნის საარჩევნო უბანი № 8**

ცენტრი: ფაიფურის ქარხნის დირექციის შენობა ახალგაზრდობის ქუჩაზე.

საზღვრები: პაპანინის ქუჩა სოხუმის ქუჩიდან ბოლომდე, ი. ჭავჭავაძის, ი. ჭავჭავაძის 1-ლი შესახვევი, ი. ჭავჭავაძის მე-2 შესახვევი, სოხუმის 1-ლი შესახვევი, ჩიქოვანის ქ. ჩიქოვანის 1-ლი შესახვევი, წყალსადენის ქუჩა, პაპანინის ჩიხი, ყუფუნიას ქუჩა, ხერგიანის ქუჩა, ხერგიანის 1-ლი შესახვევი, გრინელის ქ. გრინელის 1-ლი შესახვევი, გრინელის მე-2 ჩიხი, ფიფიას, ქ. ფიფიას 1-ლი შესახვევი, ფიფიას მე-2 შესახვევი, მანჯგალაძის ქ. მანჯგალაძის 1-ლი შესახვევი, მანჯგალაძის მე-2 შესახვევი, მანჯგალაძის მე-3 შესახვევი, ფაიფურის ქარხნის დასახლება.

**პუშკინის საარჩევნო უბანი № 9**

ცენტრი: № 1 სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს დირექციის შენობა პუშკინის ქუჩაზე

საზღვრები: პაპანინის ქ. № 1-დან მ. კოსტავას ქუჩამდე, საბჭოს ქუჩა 1-დან პუშკინის ქუჩამდე, ძერჟინსკის ქუჩა პაპანინის ქუჩიდან ბოლომდე, ბორჯომის ქ. პაპანინის ქუჩიდან ბოლომდე, ბორჯომის მე-2 შესახვევი, ბაკურიანის, ჩკალოვის ქუჩა პაპანინის ქუჩიდან ბოლომდე, პუშკინის, გურამიშვილის, გურამიშვილის ჩიხი, ჭავჭავაძის, კობახიძის, ტაბიძის, კლარა ცეტკინის, საჯაიას, მირცხულავას, მოსიაშვილის, მოსიაშვილის შესახვევი, დუტუ მეგრელის ქ. დუტუ მეგრელის 1-ლი შესახვევი, ნიკოლაძის, ქ. ნიკოლაძის ქ. 1-ლი შესახვევი ბესიკის ქ.

**ქუთაისის საარჩევნო უბანი № 10**

ცენტრი: № 9 საშუალო სკოლის შენობა-მოსიაშვილის ქუჩაზე.

საზღვრები: საბჭოს ქუჩა პუშკინის ქუჩიდან ბოლომდე, გოგებაშვილის, ლესელიძის, გაბაშვილის, კუიბიშევის, კუიბიშევის შესახვევი, გოგოლის, ფურცელაძის, რუხაძის, ჩიჩიბაიას, ქუთაისის, კრუპსკაიას კრუპსკაიას მე-2 შესახვევი, კრუპსკაიას 1-ლი შესახვევი, ჩაპაევის, საბჭოს მე-3 შესახვევი, ბუდიონის, ფიროსმანის ოდესის ქ.

**რკინიგზის საარჩევნო უბანი № 11**

ცენტრი: რკინიგზის სადგურის შენობა

საზღვრები: რუსთაველის ქ. მდ. ჩხოუშიდან ბაქოს ქუჩამდე, ნიკოლაძის ქუჩა № 1-დან რუსთაველის ქუჩამდე, ჩიჩუას, ლენინგრადის, რუსთაველის 1-ლი შესახვევი, რუსთაველის მე-2 შესახვევის, ფოთის, მესხიას, მესხიას შესახვევის, ჩელუსკინელების, ბაქოს ქუჩა.

**საკონსერვო ქარხნის საარჩევნო უბანი № 12**

ცენტრი: საკონსერვო ქარხნის დირექციის შენობა თამარ მეფის ქუჩაზე.

საზღვრები: რუსთაველის ქ. ბაქოს ქუჩიდან ბოლომდე, კიროვის ქუჩა 1-დან ქუთაისის ქუჩამდე, სვერდლოვის, სვერდლოვის 1-ლი შესახვევი, სვერდლოვის მე-2 შესახვევი, სვერდლოვის მე-3 შესახვევი, კოლხიდის, ერევნის, საირმეს, ურიცკის, წოლევრის, კონსტიტუციის, ენგელსის, ენგელსის 1-ლი შესახვევი, ტრეტიაკოვის, გამსახურდიას, ლვოვის წითელპარტიზანელთა, ლომოურის, ლომოურის 1-ლი შესახვევი, ლომოურის მე-2 შესახვევი, რიგის ქუჩა, ბუკიას ქუჩა, ტოლსტოის, ტოლსტოის 1-ლი შესახვევი, ტოლსტოის მე-3 შესახვევი, ჩერნიშევსკის, სოსულიას, რუსთაველის 1-ლი შესახვევი, დგებუაძის ქ.

**მარჯანიშვილის საარჩევნო უბანი № 13**

ცენტრი: მე-14 საშუალო სკოლის შენობა ვ. გორგასალის ქუჩაზე

საზღვრები: კიროვის ქ. ქუთაისის ქუჩიდან ბოლომდე, 9 მაისის, 9 მაისის შესახვევის, ტოლსტოის ჩიხი, კომის ქ. კუტუზოვის ქ. პრავდის ქ. პრავდის 1-ლი შესახვევი, პრავდის მე-2 შესახვევი, დ. შენგელაიას, დ. შენგელაიას 1-ლი შესახვევი, სხულუხიას ქ. სხულუხიას 1-ლი შესახვევი, სხულუხიას მე-2 შესახვევი, ვ. გორგასალის, ვ. გორგასალის 1-ლი შესახვევი, ვ. გორგასალის მე-2 შესახვევი, ვოლგოგრადის, ბ. ხორავას, თამარ მეფის 1-ლი შესახვევი, სტახანოვის, სტახანოვის მე-4 შესახვევი, კიევის, ქ. მალინოვსკის, მარჯანიშვილის, ტოლსტოის მე-5 შესახვევი, ტოლსტოის ჩიხი.

**ენგურქაღალდკომბინატის საარჩევნო უბანი № 14**

ცენტრი: გამაჯანსაღებელი ცენტრი ჯანაშიას ქუჩაზე.

საზღვრები: ქობულეთის, ქ. კალანდაძის, პავლოვის, პავლოვის შესახვევი, მექაღალდეთა, ჯანაშიას, ჯანაშიას შესახვევი, სპეციალისტების, სპეციალისტების 1-ლი შესახვევი, სპეციალისტების მე-2 შესახვევი, სპეციალისტების მე-3 შესახვევი, ვაჩნაძის, სუვოროვის, სუვოროვის შესახვევი, ტაშკენტის, ტაშკენტის, 1-ლი შესახვევი, მოსიაშვილის შესახვევი, საქქაღალდმრეწვის მე-2 უბნის მუშათა დასახლება.

**აკადემიკოს ნ. ანთელავას სახელობის რესპუბლიკური საავადმყოფოს საარჩევნო უბანი № 15**

ცენტრი: აკადემიკოს ნ. ანთელავას სახელობის რესპუბლიკური საავადმყოფოს მთავარი კორპუსი ლენინის ქუჩაზე..

საზღვრები: აკადემიკოს ნ. ანთელავას სახელობის რესპუბლიკური საავადმყოფოს კორპუსები.

**ენგურქაღალდკომბინატის მედსანნაწილის საარჩევნო უბანი № 16**

ცენტრი: მედსანნაწილის და პოლიკლინიკის შენობა ენგურქაღალდკომბინატის ტერიტორიაზე.

საზღვრები: მედსანნაწილის და პოლიკლინიკის კორპუსები.

**რაიონული საავადმყოფოს საარჩევნო უბანი № 17**

ცენტრი: რაიონული საავადმყოფოს შენობა მ. კოსტავას ქუჩაზე.

საზღვრები: რაიონული საავადმყოფო, ვენდისპანსერი, ტუბდისპანსერი.

ნ. აკობია,
ქ. ზუგდიდის № 91 რუსთაველის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე:
მ. სოტკილავა,
კომისიის მდივანი.

კახათის № 92 საარჩევნო ოლქში შეიქმნა შემდეგი საარჩევნო უბნები:

**ანაკლიის საარჩევნო უბანი № 1**

ცენტრი: ანაკლიის მელიორაციის ექსპერიმენტული საბჭოთა მეურნეობის შენობა.

საზღვრები: სოფელი ანაკლია მთლიანად.

**ახალაბასთუმნის საარჩევნო უბანი № 2**

ცენტრი: ახალაბასთუმნის კოლმეურნეობის კანტორა.

საზღვრები: სოფელი ახალაბასთუმანი მთლიანად.

(დასასრული მე-2 გვერდზე).

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. გაზ. „ოდიში" № 113.

# პირველი მრავალპარტიული არჩევნების შესახვედრად

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიამ, რომელიც 18 სექტემბერს გაიმართა, მიიღო საარჩევნო კანონი. ეს კანონი იძლევა საფუძველს საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ისტორიაში პირველად ჩატარდეს მრავალპარტიული არჩევნები. ხალხის ნებით და მხარდაჭერით არჩეულმა ახალმა პარლამენტმა უნდა გადაწყვიტოს ხალხის სასიცოცხლო მნიშვნელობის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური საკითხები, მიაღწიოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღდგენას და დამკვიდრებას, შექმნას მართვის თანამედროვე სტრუქტურები და ინსტიტუტები.

მომავალი არჩევნები საინტერესოა იმითაც, რომ გამარჯვების მოსაპოვებლად 88 პარტია და საზოგადოებრივ პოლიტიკური ორგანიზაცია იბრძვის. საქართველოს მშრომელებმა უნდა აირჩიონ ჭეშმარიტად საარჩევნო პარლამენტი, რომელიც დიდმნიშვნელოვან ნაბიჯს გადადგამს ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღსადგენად, ჰუმანური, დემოკრატიული, სამართლებრივი საზოგადოების ასაშენებლად.

არჩევნების შედეგებს უდიდესი ინტერესით მოელიან საქართველოს მშრომელები. ეს კი ბუნებრივია თავისთავად აძლიერებს არჩევნების მონაწილე ყველა პარტიის, საზოგადოებრივ პოლიტიკური მოძრაობის, მათი წევრების, ყოველი ჩვენგანის მოქალაქეობრივ და ეროვნულ პასუხისმგებლობას.

წინასაარჩევნო კამპანია და თვით არჩევნებიც ზედმიწევნით დემოკრატიულ, მშვიდ კონსტრუქციულ ვითარებაში უნდა ჩატარდეს, ერთობლივად უნდა შევქმნათ ყველა პირობა, რათა ხალხმა თავისუფლად გამოხატოს თავისი ნება, დემოკრატიულად აირჩიოს უმაღლესი საბჭო.

დღეიდან გაზეთ „ოდიშის" რედაქცია მკითხველს სთავაზობს ახალ რუბრიკას „პირველი მრავალპარტიული არჩევნების წინ", სადაც ადგილი დაეთმობა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილე საზოგადოებრივ პოლიტიკურ ორგანიზაციებს, დამოუკიდებლად მონაწილე პარტიებს. გაზეთის მეშვეობით ისინი ამომრჩევლებს გააცნობენ თავიანთ საარჩევნო პლატფორმას.

## საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნებში ძოხა, ილე კანდიდატთა სია ქ. ზუგდიდიდან და ზუგდიდის რაიონიდან

**საარჩევნო ბლოკი „დემოკრატიული საქართველო"**

**დემურ ანთია**—დაბ. 1950 წ. ენგურქაღალდკომბინატის ინჟინერი, ილია ჭავჭავაძის საზოგადოება.

**ბორის ქარჩავა,**—დაბ. 1953 წ. ფაიფურის ქარხნის პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარე, ილია ჭავჭავაძის საზოგადოება.

**ქეთევან ტაბაღუა,**—დაბ. 1954 წ. გაზეთ „ოდიშის" მშრომელთა წერილების განყოფილების გამგე, ილია ჭავჭავაძის საზოგადოება.

**საარჩევნო ბლოკი. № 1.**

**ვახტანგ ყუფუნია**—დაბ. 1949 წ. ექიმი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

**მამუკა მაქაცარია**—დაბ. 1960 წ. ექიმი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

**კობა ჭაჭუა,**—დაბ. 1968 წ. სტუდენტი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

**ბაჩუკი ქარდავა**—დაბ. 1967 წ. იურისტი ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

(გაგრძელება იქნება)

# საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქებში შემავალი უბნები

(დასასრული)

**ახალკახათის საარჩევნო**
**უბანი № 3**

ცენტრი: ახალკახათის კოლმეურნეობის კანტორა.
საზღვრები: სოფელი ახალკახათი მთლიანად.

**განმუხურის საარჩევნო**
**უბანი № 4**

ცენტრი: განმუხურის მეურნეობის კანტორა.
საზღვრები: სოფელი განმუხური მთლიანად.

**დარჩელის საარჩევნო**
**უბანი № 5**

ცენტრი: დარჩელის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ადმინისტრაციული შენობა.
საზღვრები: დარჩელის ყოფილი კოლმეურნეობის ტერიტორია

**ტელმანის საარჩევნო**
**უბანი № 6**

ცენტრი: ტელმანის სასოფლო კლუბი.
საზღვრები: დარჩელ-ტელმანის ყოფილი კოლმეურნეობის ტერიტორია მთლიანად.

**კიროვის საარჩევნო**
**უბანი № 7**

ცენტრი: ზუგდიდის № 9 მოძრავ-მექანიზირებული კოლონის ადმინისტრაციული შენობა.
საზღვრები: დარჩელის კიროვის ყოფილი კოლმეურნეობის ტერიტორია მთლიანად.

**დიდინეძის საარჩევნო**
**უბანი № 8**

ცენტრი: დიდინეძის სასოფლო საბჭოს აღმასკომის შენობა
საზღვრები: სოფელი დიდინეძი მთლიანად

**ერგეტის საარჩევნო**
**უბანი № 9**

ცენტრი: სასოფლო საბჭოს აღმასკომის შენობა
საზღვრები: სოფელი ერგეტა მთლიანად.

**ინგირის საარჩევნო**
**უბანი № 10**

ცენტრი: ინგირის კოლმეურნეობის სახლი.
საზღვრები: ინგირის კოლმეურნეობის ტერიტორია მთლიანად თირემესა და ინგირის რკინიგზის სადგურის წინა დასახლების გამოკლებით.

**ინგირის აგროსამრეწველო კომბინატის საარჩევნო**
**უბანი № 11**

ცენტრი: ინგირის აგროსამრეწველო კომბინატის კანტორა.
საზღვრები: სოფ. თირემე, ინგირის ჩაის აგროსამრეწველო კომბინატის, ინგირის ჩაის ფაბრიკის და რკინიგზის სადგურის ტერიტორიის წინა დასახლება

**კახათის საარჩევნო**
**უბანი № 12**

ცენტრი: სოფელ კახათის კულტურის სახლი.
საზღვრები: კახათის კოლმეურნეობის № 1, 2, 3, 4, 5, 6 ბრიგადების ტერიტორიები.

**ქვემო კახათის საარჩევნო**
**უბანი № 13**

ცენტრი: ქვემო კახათის სასოფლო კლუბი
საზღვრები: კახათის კოლმეურნეობის № 7, 8, 9, 10 ბრიგადების ტერიტორიები;

**კოკის საარჩევნო**
**უბანი № 14**

ცენტრი: კოკის სასოფლო საბჭოს აღმასკომის შენობა.
საზღვრები: სოფელი კოკი მთლიანად.

**ოდიშის საარჩევნო**
**უბანი № 15**

ცენტრი: ოდიშის სასოფლო საბჭოს აღმასკომის შენობა.
საზღვრები: სოფ. ოდიში მთლიანად.

**ორულუს საარჩევნო**
**უბანი № 16**

ცენტრი: ორულუს სასოფლო საბჭოს აღმასკომის შენობა
საზღვრები: სოფელი ორულუ მთლიანად.

**ოქტომბრის საარჩევნო**
**უბანი № 17**

ცენტრი: სოფ. ორსანტიის კლუბის შენობა.
საზღვრები: სოფელი ორსანტია მთლიანად.

**ოქტომბრის საარჩევნო**
**უბანი № 18**

ცენტრი: ოქტომბრის კულტურის სახლი.
საზღვრები: სოფ. ოქტომბერი მთლიანად.

**შამგონის საარჩევნო**
**უბანი № 19**

ცენტრი: შამგონის კოლმეურნეობის კანტორა.
საზღვრები: სოფელი შამგონა მთლიანად.

ა. განნიძე,
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების კახათის № 92 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

**საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების რუხის № 98 ოლქში შემავალი უბნები**

**აბასთუმნის საარჩევნო**
**უბანი № 20**

ცენტრი: აბასთუმნის ტუნგის საბჭოთა მეურნეობის ადმინისტრაციული შენობა.
საზღვრები: აბასთუმნის ყოფილი კოლმეურნეობის ტერიტორია სამოლაშხიო-საკუტალიოს უბნის გამოკლებით.

**ხეცერის საარჩევნო**
**უბანი № 21**

ცენტრი: ხეცერის სასოფლო კლუბი
საზღვრები: ხეცერის ყოფილი კოლმეურნეობის ტერიტორია სამოლაშხიო-საკუტალიოს უბნის მიმატებით.

**ახალსოფლის საარჩევნო**
**უბანი № 22**

ცენტრი: ახალსოფლის კოლმეურნეობის კანტორა.
საზღვრები: ახალსოფლის კოლმეურნეობის ტერიტორია მთლიანად:

**ჯუმის საარჩევნო უბანი**
**№ 23**

ცენტრი: კოლხიდის კოლმეურნეობის კანტორა.
საზღვრები: კოლხიდის კოლმეურნეობის ტერიტორია საჩექუაიოს ტერიტორიის გამოკლებით;

**გრიგოლიშის საარჩევნო**
**უბანი № 24**

ცენტრი: გრიგოლიშის კოლმეურნეობის კანტორა.
საზღვრები: სოფელი გრიგოლიში მთლიანად.

**კორცხელის საარჩევნო**
**უბანი № 25**

ცენტრი: კორცხელის კოლმეურნეობის კანტორა.
საზღვრები: სოფელი კორცხელი მთლიანად.

**ნაცატუს საარჩევნო**
**უბანი № 26**

ცენტრი: ნაცატუს კოლმეურნეობის კანტორა.
საზღვრები: სოფელი ნაცატუ მთლიანად.

**ნარაზენის საარჩევნო**
**უბანი № 27**

ცენტრი: ნარაზენის სასოფლო საბჭოს შენობა.
საზღვრები: ნარაზენის კოლმეურნეობა № 12 ბრიგადის ტერიტორიის გამოკლებით;

**ხეცერის ჩაის საბჭოთა მეურნეობის საარჩევნო**
**უბანი № 28**

ცენტრი: ხეცერის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კლუბი.
საზღვრები: ნარაზენისა და ხეცერის ჩაის საბჭოთა მეურნეობების, ნარაზენის ჩაის ფაბრიკის და ნარაზენის კოლმეურნეობის № 12 ბრიგადის ტერიტორია სოფელი ახალსოფლის საჩექუაიოს უბნის მიმატებით;

**რიყის საარჩევნო უბანი № 29**

ცენტრი: რიყის კოლმეურნეობის კანტორა.
საზღვრები: სოფელი რიყე მთლიანად.

**რუხის საარჩევნო**
**უბანი № 30**

ცენტრი: რუხის კულტურის სახლი.
საზღვრები: სოფელი რუხი მთლიანად.

**ჩხორიის საარჩევნო**
**უბანი № 31**

ცენტრი: ჩხორიის კოლმეურნეობის კანტორა.
საზღვრები: სოფელი ჩხორია მთლიანად.

**ტყაიას საარჩევნო**
**უბანი № 32**

ცენტრი: ტყაიას კოლმეურნეობის კანტორა.
საზღვრები: სოფელი ტყაია მთლიანად.

**ზედაეწერის საარჩევნო**
**უბანი № 33**

ცენტრი: ზედაეწერის მეურნეობა-ტექნიკუმის შენობა.
საზღვრები: ზედაეწერის ჩაის საბჭოთა მეურნეობა მთლიანად.

**ჭაქვინჯის საარჩევნო**
**უბანი № 34**

ცენტრი: ჭაქვინჯის კოლმეურნეობის კანტორა
საზღვრები: სოფელი ჭაქვინჯი მთლიანად.

**ჭითაწყარის საარჩევნო**
**უბანი № 35**

ცენტრი: ჭითაწყარის კოლმეურნეობის კანტორა.
საზღვრები: სოფელი ჭითაწყარი მთლიანად.

**ჭკადუაშის საარჩევნო**
**უბანი № 36**

ცენტრი: ჭკადუაშის კოლმეურნეობის შენობა
საზღვრები: სოფელი ჭკადუაში მთლიანად.

**ყულიშკარის საარჩევნო**
**უბანი № 37**

ცენტრი: ყულიშკარის კოლმეურნეობის კანტორა.
საზღვრები: სოფელი ყულიშკარი მთლიანად.

**ცაიშის საარჩევნო**
**უბანი № 38**

ცენტრი: ცაიშის კოლმეურნეობის კანტორა.
საზღვრები: სოფელი ცაიში მთლიანად.

**ურთის საარჩევნო**
**უბანი № 39**

ცენტრი: ურთის კოლმეურნეობის კანტორა.
საზღვრები: სოფელი ურთა მთლიანად.

**ჯიხაშკარის საარჩევნო**
**უბანი № 40**

ცენტრი: ჯიხაშკარის კოლმეურნეობის კანტორა.
საზღვრები: სოფელი ჯიხაშკარი მთლიანად.

გ. გუნავა,
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების № 98 რუხის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე;
ა. ქარდავა,
მდივანი.

13 სექტემბერი 1990 წ.

მიზანი: სოფლის ეკონომიკის ძირეული რეფორმა

# თითოეული მშრომელის დაინტერესების გაზრდით

ამჟამად შრომით კოლექტივებში მიმდინარეობს ახალი სამეურნეო სტრუქტურების აპრობაციის გზების ძიება. მიმდინარე და პერსპექტიულ საკითხებზე გვესაუბრება ზედაეწერის მეურნეობის დირექტორი ჟ. ნემსაძე:

— რას გვეტყოდით თქვენი ეკონომიკის ძირითად დარგზე — ჩაის წარმოებაზე?

— სეზონის დასაწყისიდანვე აქცენტი გადატანილ იქნა ჩაის მექანიზირებული წესით კრეფის მნიშვნელოვნად გადიდებაზე, რამეთუ მოგების გაზრდის ძირითად წყაროს ამაში ვხედავთ. გასულ წელთან შედარებით მექანიზაციის გეგმა გაიზარდა 300 ტონით. ჩვენი მექანიზატორების: რამინ თორდიას, იაშა თორდიას, ვალერი და თემური ჩხეტიანების, ვახტანგ გვიჩიანის, იურა ქარდავას, ილიკო ჭითანავას, ეთერ თორდიას, იაშა თორდიას და სხვათა მონდომებული გარჯით წლიური დავალება უკვე შესრულებულ იქნა. გადამამუშავებელ მრეწველობას ჩაბარდა 4840 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. შრომის ორგანიზაციის არენდულმა ფორმამ ურთიერთ ხელშეკრულების საფუძველზე საშუალება მისცა ძირეულ ქვედანაყოფებს სეზონის მანძილზე შრომის მწყობრი რიტმი შეენარჩუნებინათ. ამ კუთხით გამოვყოფდით № 1, № 5, № 7 და № 10 — არენდულ უბნებს, რომელთაც უნარიანად უძღვებიან გამოცდილი მუშაკები: თ. შონია, მ. გვარამია, შ. წულაია და დ. ჯიქია. გეგმიური მოცულობები კი გავანაღდეთ, მაგრამ ისმება კითხვა: რა პრობლემების ფონზე? კვლავაც ტრადიციულად ტანჯვა-წვალებით ვაბარებთ ნედლეულს გადამამუშავებელ მრეწველობას. იმის გამო, რომ მოკრეფილ ფოთოლს მეოთხე-მეხუთე დღეს ვაბარებთ, აუნაზღაურებელ ზარალს ვნახულობთ, სხვისი იმედით ყოფნის დრო ამოიწურა. გაჭირვებიდან გამოსავალი გამოინახა. მეურნეობის კოლექტივმა გადაწყვიტა ფაბრიკის მშენებლობა. ამ საკითხის დადებითად მოგვარების კვალობაზე სულს მოითქვამენ მკრეფავები. თავისთავად მოიხსნება ბუჩქზე ფოთლის გადაუხეშების პრობლემა და საგრძნობლად გაუმჯობესდება ხარისხი.

არ შემიძლია გულისტკივილით არ აღვნიშნო წლობით თავმოუბმელი საკითხი, რომელიც არა მარტო ჩვენს მექანიზატორებს აწუხებთ, უხარისხოა „საქსოფმანქანათმშენებლობის" ქარხნის მიერ გამოშვებული მობილური ჩაის საკრეფი მანქანები. თუ მათი ტექნიკური კონდიციები არ ამაღლდა, ჩაის ხარისხზე ლაპარაკი დარჩება ხმად მღაღადებლისა... დღემდე მწვავედ განვიცდით სათადარიგო ნაწილების უქონლობას. შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ ყველა ცოდვა ტექნიკას გადავაბრალოთ. შეუწყნარებელია ზოგიერთი მეჩაის დამოკიდებულება სამუშაოსადმი. ერთი სიტყვით, პრობლემა საერთოა და მას კომპლექსურად გადაწყვეტა ჭირდება.

— სხვა მომენტებთან ერთად კოლექტივის მობილურობის ხაწინდარია ადამიანებთან მუშაობა. რა სიახლეები იკვეთება ამ თვალთახედვით თქვენს კოლექტივში?

— თუ ხელმძღვანელს განწყობის ფაქტორი რაღაც განყენებულ ცნებად ესახება, რაიმე შედეგებზე ფიქრი ამაოა. თითოეულ ადამიანთან გულახდილი დიალოგით ვახერხებთ მასში კეთილი სამუშაო ტონუსის ჩანერგვას. ამ ასპექტით იკვეთება სოციალურ საჭიროებათა გადაწყვეტის რეალური პარამეტრები: მეურნეობაში შექმნილია დემოგრაფიული ფონდი. ყოველი მეოთხე შვილიდან დაწყებული ოჯახს ეძლევა ერთდროული დახმარება 250 მანეთი და 18-წლის ასაკამდე ყოველთვიურად 30-მანეთი. აღნიშნულ ფონდში ჩადებულია კიდევ ასეთი პირობა: ახალშექმნილ ოჯახებს გამოეყოფა საკარმიდამო ნაკვეთები და ბინათმშენებლობის სესხი. მრავალშვილიან ოჯახებს, სამამულო ომის მონაწილეებს და მარტოხელა დედებს შრომითი კოლექტივის საბჭოს გადაწყვეტილებით პური ეძლევათ უფასოდ.

მეურნეობამ მ. კოსტავას სახელობის ფონდში გადარიცხა 40-ათასი მანეთი, კერძოდ, ეს თანხა მოხმარდება ბოლნისის რაიონში ქართველთა ჩასახლების ღონისძიებებს. ამასთან გარკვეული თანხა გადაერიცხა სამეგრელოს დემოგრაფიულ საზოგადოებას. გამოინახა სახსრები საშუალო სკოლის წარჩინებული მოსწავლეები დავაინტერესოთ სტიპენდიით.

სათანადო ყურადღება ექცევა საუბნო გზების კეთილმოწყობას. ფუნქციონირებენ საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები. მაგრამ გვაქვს პრობლემებიც. ვერა და ვერ მივაღწიეთ დასახლების ტელეფონით, გაზით მომსახურების გაუმჯობესებას. ვიმედოვნებთ, უწყებების ხელმძღვანელები ზედაეწერის მრავალათასიანი კოლექტივის გულისტკივილს ბოლოსდაბოლოს არ დატოვებენ რეაგირების გარეშე.

— ახლა, როგორც არასდროს ფასი ედება ისეთ პიროვნულ თვისებებს, როგორიცაა პასუხისმგებლობა, კომპეტენტურობა. რას გვეტყოდით ამ კუთხით?

— რაიმე წარმატებები თუ გაგვაჩნია, ამას ვუკავშირებთ ურთიერთზრუნვისა და ურთიერთპატივისცემის, პერსონალური პასუხისმგებლობის გრძნობას. ხშირად გვაქვს ასეთ საკითხებზე საუბარი, დავა, კამათი. საბედნიეროდ, გვყავნან სამაგალითო ადამიანები, რომლებიც თავს აღწევენ აზროვნების ძველებურ სტერეოტიპებს, და ახლანდელი ექსტრემალური სიტუაციის შესაბამისი საზრიანობით მოქმედებენ. ასეთები არიან: მთავარი აგრონომი გ. აგუმავა, ეკონომისტი ჯემალ თორდია, ავტოპარკის ინჟინერ-მექანიზატორი კ. ბიჭია, ამავე პარკის სარემონტო სახელოსნოს გამგე პ. ვიბლიანი, ინჟინერ-მექანიზატორი მ. ჭითანავა, არენდული უბნის ხელმძღვანელი თ. ფიფია, აქვე დავასახელებდით შრომის გმირს გ. ქითანავას, ვეტერან მუშაკებს ბ. თორდიას, უ. ჭითანავას, ტ. ხურცილავას, კ. აფრასიძეს, ნ. სოსელიას, ს. კვანჭიანს, ვ. ჩხეტიას და სხვებს, რომელთა გამოცდილება კეთილად ადგება საერთო საქმეს.

— თვითმმართველობის რა პრინციპებით ხელმძღვანელობთ და როგორია ამ მხრივ პერსპექტივები?

— გეზი ავიღეთ ძირეული ქვედანაყოფებისათვის თვითმმართველობის უფლების მაქსიმალურად გადაცემაზე. ამ მხრივ ეფექტურად იმუშავა იჯარის მეთოდმა ორმხრივი ხელშეკრულებით ხაკისრ ვალდებულებათა ფარგლებში. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება ზემოთ მოყვანილი არენდული უბნები, რომელთა შრომის ნაყოფიერება და ანაზღაურება გასულ წელთან შედარებით საგრძნობლად ამაღლდა, მაგრამ ცხოვრება წინ მიდის, ამაზე გაჩერებას არ ვაპირებთ, ვამუშავებთ მართვის საკუთარ მოდელს, რომელსაც საფუძვლად დაედება კოლექტიური საკუთრების პრინციპი ინდივიდებზე გადაცემული დიდი უფლებებით. საუბარია აქციონერულ ვარიანტზე, როცა მშრომელი კაცი რეალურად იგრძნობს პრივატიზაციის სიკეთეს, სხვადასხვა სახის საკუთრების ფლობის გარანტიას. ჩვენს წინაა დიდძალი ანალიზური სამუშაოები მიწის ინვენტარიზაციის მიზნით. ისეთი მექანიზმების შემუშავება, როცა გზა გაეხსნება ადამიანებს მიწის თავისუფალი დამუშავებისაკენ, მებაღეობა-მებოსტნეობის განვითარებისაკენ და ა. შ.

ესაუბრა ზ. ცხონდია.

---

რეპლიკა

## დუღს და გადმოდუღს...

კოოპერატივების ფართოდ დანერგვამ ბევრ დადებითთან ერთად უარყოფითი მომენტებიც წარმოშვა.

ჯანსაღ კოოპერაციულ მოძრაობას ჩრდილს აყენებს ზოგიერთი ფსევდოკოოპერატორი, რომელსაც ამ სიახლემ სპეკულაციისაკენ უბიძგა, ხელ-ფეხი გაუხსნა იოლი გზით გამდიდრებისაკენ. აბა სხვას რას უნდა მივაწეროთ ასეთი ფაქტი: ქალაქის ცენტრში, კავშირგაბმულობის შენობის გვერდით მდებარე კიოსკში, რომელსაც „საყვავილე" აწერია, ყვავილების მაგივრად იყიდება ერევნის გამოშვების ფეხსაცმელები, რომელთა ძირებზე ფასი აფხეკილია და ნაცვლად 85 მანეთისა (კოოპერატივის საბაბით) 90 მანეთად სთავაზობენ მუშტრებს. დამეთანხმებით, მაღაზიებსა თუ საკოლმეურნეო ბაზრის დახლებზე ახლა „დუღს და გადმოდუღს" სპეკულაცია და ფასდამახინჯებანი, გადამყიდველთა წყალობით ცეცხლი უკიდია ჩვენს ბაზარს...

პირდაპირ გასაკვირია, როდემდე შეიძლება ამ უმსგავსობათა მოთმენა? რატომ დუმს მუშათა კონტროლი, სადღაა მილიციის შესაბამისი სამსახურის მუშაკები, სახელმწიფო ვაჭრობის მესვეურნი?

ხალხი კი ელის გადამჭრელი ზომების მიღებას, ელის წესრიგს.

ნ. დარასელია,

## დამტკბარული გზით ვერ ვავლით

დაწყებითი კლასის მასწავლებლის პროფესია იმდენად რთული და სათუთია, რომ აქ დაშვებული უმნიშვნელო შეცდომაც კი ღრმა უფსკრულს აჩენს მოზარდის შემდგომ ცხოვრებაში. მეც და სხვა ჩემი კოლეგებიც ვსარგებლობთ გარკვეული პროგრამითა და მეთოდური მასალებით, მაგრამ ხშირად პროგრამა და სახელმძღვანელო არ ესატყვისება ერთმანეთს, ან კიდევ ორივე ერთად ლეშული ცხოვრებისეულ სინამდვილეს. ასეთ შემთხვევაში პედაგოგებს უნდა შევანდოთ შემოქმედებითად მივუდგეთ მას, ამოიღონ და შეცვალონ ზოგიერთი საკითხები, მაგრამ აქ ზოგიერთი გაუგებრობები მოხდა. ცალკეულ შემთხვევაში გვერდზე დარჩა ზოგიერთი აუცილებელი მასალა. ეს კი შესაძლებლობას არ იძლევა ნორჩების მოჭარბებულ ენერგიას მივცეთ სწორი დატვირთვა.

წელს პირველი კლასი იმუშავებს ახალი პერსპექტიული გეგმის მიხედვით. შეტანილია ცვლილებები საგნებსა და საათობრივ დაყოფაში. ჩვენ დაწყებითი კლასის პედაგოგები დიდი კმაყოფილების გრძნობით შევხვდით „ბუნების კარისათვის" ორი აკადემიური საათის დათმობას, რაც ძირითადი საკითხების სწავლებასთან ერთად საშუალებას მოგვცემს მეტი დრო დავუთმოთ პატარების ზნეობრივ აღზრდას.

რაც შეეხება მუსიკას და რიტმიკას, ამასაც ორი აკადემიური საათი აქვს დათმობილი. ერთი საათი ქართული ენის ხარჯზე. ჩემის აზრით, უმჯობესი იქნებოდა მშობლიურ ენას 8 საათის მაგიერ დათმობოდა 9 საათი, ხოლო მუსიკასა და რიტმიკაზე ყურადღება გაგვემახვილებინა ყოველდღიურად, გაკვეთილებთან კავშირში ფიზკულტურული წუთობის დროს.

მე მინდა ჩემი შეხედულება გაგიზიაროთ ხუთდღიან სწავლებასთან დაკავშირებით. თითოეული მასწავლებელი, რომელსაც მუშაობის თუნდაც, უმნიშვნელო სტაჟი აქვს, ატყობს რომ ორშაბათ დღეს გაკვეთილები ნაკლებ ეფექტურია. ეს გამოწვეულია წინა კვირა დღის დასვენებით. თუ შაბათი დღეც ამას დაემატება, იგი აუცილებლად უარყოფით რეზონანს გამოიწვევს და არც დანარჩენი დღეების დატვირთვა იქნება სასურველი.

ფ. ქორჩუა,
ოდიშის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი.

---

საინტერესო ბროშურა

## რა უნდა იცოდეს მოიჯარემ?

ამ სათაურით სამეცნიერო ტექნიკური ინფორმაციისა და პროპაგანდის რესპუბლიკურმა ცენტრმა და სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და მართვის სამეცნიერო კვლევითმა ინსტიტუტმა გამოსცეს ბროშურა. მასში ლაპარაკია იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს იჯარა, რა იურიდიული და სამართლებრივი, ორგანიზაციული და სოციალური საკითხები წამოიჭრება იჯარული ურთიერთობების დროს, ამასთან ბროშურაში თავმოყრილია ყველა ნორმატიული და საკანონმდებლო დოკუმენტი, ხელშეკრულებებისა და აქტების ნიმუში და სხვა აუცილებელი მასალები.

ბროშურის ღირებულება 10 მანეთია. მისი შეძენა შეიძლება საქინფორმაგროპრეწვში, შემდეგ მისამართზე:

380054 თბილისი, მარშალ გელოვანის პროსპექტი № 4 (ა).

მსურველებს შეუძლიათ მოგვმართონ წერილით და მათ ადგილზე გავუგზავნებთ აღნიშნული მასალა.

დ. დვალი,
საქინფორმაგროპრეწვის დირექტორი.

## საქართველოს სახალხო ფრონტის ზუგდიდის რეგიონალური ორგანიზაციის გამგეობის განცხადება

ამ უკანასკნელი კვირის განმავლობაში ზუგდიდის, განსაკუთრებით კი მისი მანცხვარკარის უბნის მოსახლეობის ერთი ნაწილის მიერ ხორციელდება ჩვენი ქალაქის მშვენების, მანცხვარკარის ბაღის სასაფლაოებად მიტაცება. ხელისუფალთა მხრიდან სრული უმოქმედობით გათამამებული ის პირები, რომლებიც ჩიოდნენ არ ფლობენ მშობლიური ქალაქის პეწი და სილამაზე, თავიანთი თვითნებობის მიზეზად ასახელებენ მაცხოვრის სასაფლაოს ლობის გაუთავებელ გადმოწევა-გადმოადგილებას, რომელიც ქალაქის ხელმძღვანელობის ნებართვით და წაყრუებით უკვე შეუძლებელი ხდება.

სამარხ-სამვალის პაიპარად შოვნის აზარტში შეპყრობილი ხელისუფალთა ესოდენ გულუხვობა ვერცხლისმოყვარეობით ხსნიან და არა გვგონია უამისობაც იყოს.

განა დამაეჭვებელი არ არის ის გარემოება, რომ ქალაქის ის სამსახურები, რომელსაც სასაფლაო მეურნეობა, კეთილმოწყობა და საერთოდ ზუგდიდი აბარიათ, მიუხედავად შექმნილი მდგომარეობის საგანგაშოობისა, ყურსაც არ იბერტყავენ.

ითვალისწინებს რა იმ გარემოებას, რომ მაცხოვრის გორა ჩვენი ქალაქის უძველესი (თავდაპირველი), ისტორიული უბანია;

მიიჩნევს რა მანცხვარკარის ბაღის და აქ მდგარი შენობის გავერანებას ქალაქის ძველი და დღევანდელი ხელმძღვანელობის დანაშაულად;

თვლის რა მოქალაქეთა მიერ მანცხვარკარის ბაღის თვითნებურ მიტაცებას ზუგდიდელობასთან და კეთილ ზნეებთან შეუთავსებლად;

საქართველოს სახალხო ფრონტის ზუგდიდის რეგიონალური ორგანიზაციის გამგეობა ზუგდიდის საქალაქო საბჭოს აღმასკომისაგან მოითხოვს:

1. ზუგდიდის საქალაქო საბჭოს რიგგარეშე სესიის მოწვევას, რათა მან მიიღოს გადაწყვეტილება მანცხვარკარის ბაღისა და აქ მდგარი, ნაომარსდამსგავსებული შენობის აღდგენის, და საქალაქო კულტურისა და დასვენების პარკისათვის გადაცემის შესახებ.

2. მაცხოვრის სასაფლაოს ტერიტორიის უკანონო გაფართოების მიზეზების შესწავლას სამართალდამცავი სამსახურების მიერ და დამნაშავეთა მიმართ სათანადო ზომების მიღებას.

3. წინასწარ გამზადებული (უმიცვალებლო) სასაფლაო ნაკვეთების ჩამორთმევას.

4. მანცხვარკარის ბაღის სასაფლაო ნაკვეთებად თვითნებური დახურვების აღკვეთას.

საქართველოს სახალხო ფრონტის ზუგდიდის რეგიონალური ორგანიზაციის გამგეობა, მოუწოდებს მოქალაქეებს შეწყვიტონ მანცხვარკარის ბაღის სასაფლაო ნაკვეთებად თვითნებური დანაწილება, რასაც შეიძლება გაუთვალისწინებელი შედეგები მოჰყვეს. მოუწოდებს ზუგდიდის საზოგადოებრიობას წინ აღუდგეს თვითნებობის ყოველგვარ გამოვლინებას, დაიცვას წესრიგი, რადგან ყოველგვარი უწესრიგობა ჩვენი ერის მტრების მიერ შეიძლება გამოყენებულ იქნას დესტაბილიზაციის წყაროდ და საქართველოს უზენაესი საბჭოს კარსმომდგარი არჩევნების ჩაშლისათვის.

თუ საქალაქო და სარაიონო საბჭოების გაერთიანებული პრეზიდიუმი და ზუგდიდის საქალაქო საბჭოს აღმასკომი არ შეასრულებს ჩვენს მოთხოვნებს 20 დღის ვადაში, საქართველოს სახალხო ფრონტის ზუგდიდის რეგიონალური ორგანიზაციის გამგეობა იძულებული იქნება მოითხოვოს გაერთიანებული პრეზიდიუმისა და საქალაქო საბჭოს ხელმძღვანელთა გადადგომა დაკავებული თანამდებობებიდან.

**საქართველოს სახალხო ფრონტის ზუგდიდის რეგიონალური ორგანიზაციის გამგეობა.**

## შინაგან საქმეთა საქალაქო-რაიონული განყოფილებიდან იტყობინებიან

**18 სექტემბერს სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების თანამშრომლების მიერ დაკავებულ იქნა ადრე ნასამართლევი, ქალაქ ოჩამჩირის მკვიდრი იგორ შალვას ძე ნაჭყებია, რომელიც მონაწილეობდა 1990 წლის 8 მარტს ზუგდიდის საგამოძიებო იზოლატორიდან ჯგუფურ გაქცევაში. დაკავებისას მას აღმოაჩნდა უცხოური წარმოების რევოლვერი.**

* * *

**მიმდინარე წლის 16-17 სექტემბერს გახსნილ იქნა შინაგან საქმეთა ზუგდიდის საქალაქო-რაიონული განყოფილების გაფციცვის პერიოდში ჩადენილი ორი სისხლის სამართლის დანაშაული, კერძოდ, საკომერციო მაღაზიისა და მოქალაქე შურღაიას გაქურდვის საქმეები. ნივთმტკიცებები ამოღებულია, დამნაშავე დაკავებულია.**

* * *

**17 სექტემბერს დაკავებულ იქნა მოქალაქე ნანა შოთას ასული არაჩემია, რომლისგანაც ამოღებულ იქნა ნარკოტიკული ნივთიერება.**

* * *

**ამა წლის 16 სექტემბერს გატაცებულ იქნა ქალაქ ზუგდიდის ჩიჩუას ქუჩაზე მდებარე სასაუზმესთან მდგარი მოქალაქე ფიფიას კუთვნილი ავტომანქანა. ბოროტმოქმედის მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანა რუსთაველის ქუჩაზე, მდინარე კუჩხობისთან, გადავიდა გზის ფეხით მოსიარულეთათვის განკუთვნილ ნაწილზე, შეეჯახა მოქალაქე ხორავას, რომელიც დაზიანებისაგან ადგილზე გარდაიცვალა. დამნაშავემ დატოვა ავტომანქანა და მიიმალა.**

**რედაქტორის მოადგილე**
**ზ. ცხონდია.**

## განცხადებები, რეკლამები.

### თუ გსურთ იყოთ ჯანმრთელნი...

თუ გსურთ იყოთ ჯანმრთელნი და არ გტკიოდეთ არაფერი, თუ გსურთ ორგანიზმი გაიკაჟოთ არა ქიმიური საშუალებებით, არამედ მიიღოთ სამკურნალო მცენარეები, მიაკითხეთ კოოპერატივ „ჯანმრთელობა—89“-ს, სამკურნალო მცენარეების სარეალიზაციო ფილიალს, რომელიც მდებარეობს რკინიგზის სადგურის ტერიტორიაზე გაზეთების ჯიხურის გვერდით.

კოოპერატივ „ჯანმრთელობა—89“-ს გამგეობა.

### ხელმომწერთა საყურადღებოდ!

დაიწყო ხელმოწერა 1991 წლისათვის ცენტრალურ და რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებზე.

ხელმოწერა ფორმდება „სოიუზპეჩატის“ სააგენტოში, ხელმოწერის მიმღებ პუნქტებში, პრესის საზოგადოებრივ გამავრცელებლებთან.

ვისაც სურს, ჟურნალ-გაზეთები 1991 წლის იანვრიდან მიიღოს, ხელმოწერა უნდა გააფორმოს ა. წ. 31 ოქტომბრამდე.

მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის ორგანოების გამოცემებზე ხელმოწერა იწყება ა. წ. 15 სექტემბრიდან, ხოლო საზღვარგარეთის ჟურნალ-გაზეთებზე 1 ოქტომბრიდან.

„სოიუზპეჩატის“ ზუგდიდის სააგენტო.

### მოქალაქეთა საყურადღებოდ!

შემნახველი ბანკის ქ. ზუგდიდის განყოფილება მიმდინარე წლის 1 ოქტომბრამდე აწარმოებს მოქალაქეებიდან მსუბუქი ავტომანქანის მომგებიან ანაბარზე 3000 მანეთის ოდენობით თანხის მიღებას, რომლის გათამაშების ტირაჟი ჩატარდება 1991 წლის აპრილის თვეში.

იღბლიან მეანაბრეს შეუძლია მოიგოს სხვადასხვა მარკის „ჟიგულის“ ტიპის ავტომანქანა.

შემნახველი ბანკის ადმინისტრაცია.

შამგონის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი ამავე სკოლის დირექტორს, დიდი სამამულო ომის ვეტერანს, ბატონ გორის გრიგოლის ძე ზვანბაიას გულთბილად ულოცავს დაბადების 70-ე წლისთავს. უსურვებს ურყევ ჯანმრთელობას, უღევ სიხარულს, წარმატებებს პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ექიმი ნევროპათოლოგი-კოსმეტოლოგი **ნინა ვლადიმერის ასული ოვრაზი** (კიევიდან) აწარმოებს პაციენტების მიღებას ბინაზე მიმდინარე წლის 20 სექტემბრიდან 20 ნოემბრამდე პლეხანოვის ქ. № 24-ში, დილის 9 საათიდან 14 საათამდე, ყოველდღე, გარდა ორშაბათისა (ბინაზე სანიტნორმები დაცულია, სათინანით განყოფილების მიერ დამტკიცებულია).

ექიმი კურნავს თირკმლებს, ღვიძლს, ალერგიას, ფსორიაზს, ხსნის სხვადასხვა ხასიათის ტკივილებს. კურნავს და კონსულტაციას ატარებს სახის კანის დაავადებებზე.

საქართველოს მუსიკალური საზოგადოების ზუგდიდის საქალაქო გამგეობის ქორეოგრაფიული სტუდია **აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1990 წლის 1 ოქტომბრიდან 10 ოქტომბრამდე.**

**ქორეოგრაფიულ სტუდიაში მიიღებიან ორივე სქესის ჯანმრთელი, სათანადო მონაცემების მქონე მოსწავლეები 6 დან 10 წლამდე.**

**სტუდიაში სწავლების ხანგრძლივობა 4 წელია. მისაღები გამოცდები ჩატარდება 13-14 ოქტომბერს.**

**სტუდიაში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: განცხადება საზოგადოების თავმჯდომარის სახელზე, დაბადების მოწმობა (ასლი), სამედიცინო ცნობა ბავშვის ჯანმრთელობის შესახებ, ცნობა მშობლების სამუშაო ადგილიდან, ორი ფოტოსურათი ზომით (3X4).**

**დამატებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ ტელეფონზე 2-65-90.**

**მისამართი: საქ. მუსიკალური საზოგადოების ზუგდიდის ქორეოგრაფიული სტუდია.**

**ქ. ზუგდიდი, დავით აღმაშენებლის ქ. № 10.**

დედა თამარ ხუბულავა, მეუღლე ნათელა, შვილები: არჩილ, გიორგი, ბიძები: ილია, მარკოზ ხუბულავები, ლუღუნი სიჭინავა, სამა ცხონდია, დეიდა ვერა ხუბულავა, ბიცოლა ანტისა ჯგუშია, მამიდა გუგული ცხონდია, ბიძაშვილები: ბექანი, ეთერი, იზა, ნანი ხუბულავები, დეიდაშვილები: იზა საჯაია, ენვერი, თემური სიჭინავები, მამიდაშვილები ბორისი, მერი სიჭინავები, ანზორი, ბორისი, კახა, როზა, დემნა, ფუფული კვარაცხელიები, ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან

**არნოლდი (ფუცხუ) გიორგის ძე ცხონდიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 22 სექტემბერს, დაკრძალვა 23 სექტემბერს 5 საათზე. გულრიფშის რაიონი ს. ქვემო ფშავი, წერეთლის ქ. 128.

მეუღლე ბაბუცა, შვილები რუზო, მურთაზი, იაშური, ნანა, ძმა ნოკო, რძლები ვენერა, ლუიზა, თამრო, ლალი, თალიკო, გოგო, მიმოზა, ფაცია, შვილიშვილები: პაატა, ეკა, ლადო, ნინო, იოსები, დათო აბულაძეები, ძმისშვილები გულივერი, გენო აბულაძეები, ცოლისძმები: ჭიჭიკო, ლულუნი, ზაური მებონიები, დეიდა მანუშკა, ბიცოლა ვარასი, დეიდაშვილები კოტე ჯიჭონაია, ავლინა, ციალა, თეზიკო, ცეზარი ბასილაიები. ბიძაშვილები ცვიფა, ქოჩუი, გენო გულორდავები, მამიდაშვილები მანია, მექი, ჯუმბერი, სოსო გულორდავები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**სილოვან იოსების ძე აბულაძის**

გარდაცვალებას, პანაშვიდი 22, 23 სექტემბერს, დაკრძალვა 25 სექტემბერს ქ. ზუგდიდში, გამოსვენება სოხუმის ქ. № 23-დან.

შვილები: რონი, სოსო, მერაბი. გაზრდილი ნანული, შვილიშვილები: ცირა, პეტრე. მული ცოტო მირცხულავა, შვილთაშვილი ბუთხუზი თუთბერიძე, რძლები: ციალა პეტრიდისი, ფოფო თორდუა, წუნუ გულბანი, ლუნა ლაგვილავა, იმედო კვიდია, სიძეები: თემური თუთბერიძე, რადიონ ხუფაცარია, მაკარი გუგუჩია, მულიშვილები: თინა, ფენია ჯლამაიები, ნოდარი, ელო ავალიშვილები, მაზლიშვილები: ლეილა, იამზე, ნარგიზა მირცხულავები, ლამარა ღლონტი, ბიძაშვილები: ლაღული, ბეჟითი, ჩიტო, ნათელა მზია, ანთიმოზი თოლორაიები ახლო ნათესავებით იუწყებიან

**ბროლი თედორეს ასულ თოლორაია-მირცხულავას**

გარდაცვალებას, პანაშვიდი 24, 25, 26 სექტემბერს, დაკრძალვა 27 სექტემბერს გამოსვენება ქ. ზუგდიდი გამარჯვების ქ. № 25-დან.

დედა ოლია, მეუღლე ნანული, შვილები ზაზა, ბესიკი, რამაზი, ხოსა, რიტა, ძმები ვალიკო, ნუგზარი და მარგო, ძმისშვილები ნონა, ნინო, ნანა, გოგი, თამუნა, თეა თორნიკე, დისშვილი ხატია ვახანია, სიდედრი ლილი დარსანია, რძლები მზია, ნანი, მარინა ცოლისძმები რევაზი, რეზო, როძანი, ცოლისდები მადონა, მანანა, მედიკო, ქვისლები თამაზი ერახვია, ბორისი ჭიჭილუა, მამიდა ჭვატია, დეიდები ქუქუნა, ნათელა, ჯალაღონიები, ბიძები ორდენი ჯალაღონია, თამუში ფირცხელავა, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები ოჯახებით იუწყებიან

**ზაური გრიშას ძე გაბაჩავას**

გარდაცვალებას, პანაშვიდი 22, 23 სექტემბერს, დაკრძალვა 25 სექტემბერს ინგირში გამოსვენება სხულუხიას 21-დან.

და ზოია გვასალია, დისშვილი ვოვა ლუკავა იუწყებიან

**ჟორა გვასალიას**

გარდაცვალებას, დაკრძალვა 25 სექტემბერს ქალაქ სენაკში.

ბიძია არდევანი, ბიცოლა ნაზი ბიძაშვილები მარიზა, მანანა, მაია, თემური კვარაცხელიები იუწყებიან

**როზა ჩანგელია-კალანდიას**

გარდაცვალებას, დაკრძალვა 25 სექტემბერს წალენჯიხაში, გამოსვენება ქიაჩელის I შესახვევი 3-დან.

დედა მარო, მეუღლე გრავამა, შვილები: ბესიკი, ბაჩუკი, დები ცაცა, თინა, ძმები: ჯუმბერი, ჯონდი, დისშვილები: დავერი, ტარიელი დარასელიები, ნანა, ემზარი, ედემი ესართიები, ძმისშვილები: მარინა, ჯუმბერი, სიძეები: ვალიკო დარასელია, ალიკო ესართია, იგორი შამათავა, ცოლისდები: მერი, სულიკო, ნათელა, ზინა, ქეთინო, ცოლისძმები: ნუგზარი, ჯინჯერი ხარგელიები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, მაზლიშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**ჟორა პროფის ძე კუკავას**

გარდაცვალებას, პანაშვიდი 26, 27, 28 სექტემბერს, გამოსვენება 29 სექტემბერს სპეციალისტების ქ. № 14-დან. (ი. ქ. კ.). დაკრძალვა სოფ. ახალსოფელში.

განარჯიის მეხუთის მეხილეობის მეურნეობის კოლექტივი და სასოფლო საბჭოს აღმასკომი იუწყებიან

**ნაზია თენგიზის ასულ შენგელია-ჭაფანძის**

გარდაცვალებას, და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ზინამა და იპოლიტე ხვინგიები ოჯახებით იუწყებიან მეზობლის

**ვალოდია ქოზუს ძე თოდუას**

გარდაცვალებას.

ИНДЕКС 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი მერაბ კოსტავას ქ. № 52. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის — 2-33-69 პასუხისმგებელი მდივნის 2-81-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78 მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2-47 09

საქ. სსრ ბეჭდვსახკომის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 52, ტელეფონი 2-23 07 ტირაჟი 22000 შეკ. № 4195